1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის ანალიზი 1993 წლის ქართულ პრესაში

(შეფასებები, მოსაზრებები, სიმბოლოები)

მარიამ ცხოვრებაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მედია კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია; პრაქტიკა, კვლევა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დანელია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

მადლობა

მადლობას ვუხდი თემის ხელმძღვანელს, ნინო დანელიას, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია საკვლევი საკითხის შესწავლაში.

ასევე, მადლობას ვუხდი მარიამ ცუცქირიძეს და ელენე ნათენაძეს რომლებიც მგულშემატკივრობდნენ და მეხმარებოდნენ მუშაობის პროცესში.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს მცდელობას ვაჩვენოთ როგორია ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის პირველადი შეფასებები 1993 წლის ქართულ პრესაში.

მედია საზოგადოებას გარკვეული ფორმით აწვდის ინფორმაციას, რაც განაპირობებს საზოგადოების მიერ ამა თუ იმ საკითხის აღქმას სწორედ იმ ფორმით, როგორც ის სთავაზობს. მედია ამისათვის სხვადასხვა საშუალებას იყენებს. ეს შეიძლება იყოს სიტყვები, სიმბოლოები, ვიზუალური გამოსახულებები, რომლებიც მეხსიერებაში მკაფიოდ რჩება და ხშირ შემთხვევაში გარკვეულ მოვლენებთან მათი ასოციაციურად დაკავშირება ხდება საზოგადოების მიერ. მედია გვთავაზობს განსხვავებულ ხედვებს და მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და ამას ხშირ შემთხვევაში აკეთებს ავტორიტეტული აქტორების ან იდეურად დატვირთული ტექსტების მეშვეობით.

მედია ქმნის მეხსიერებას, გარკვეულ ცოდნას წარსულის შესახებ და ამ ცოდნას დიდი როლი აქვს კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში. სწორედ ამიტომ, ნაშრომი არის მცდელობა გარკვეულ ჩარჩოში მოაქციოს კონფლიქტის შესახებ ქართულ პრესაში გავრცელებული პირველადი შეფასებები და გაარკვიოს რას ეყრდნობა საზოგადოების ცოდნა ამ კონფლიქტთან მიმართებით.